შპს „კახეთის კარიბჭე“

საქართველო, თბილისი 0179, ი. აბაშიძის ქ. N48; ტელ: +995 577970048; mail:kakhetikaribche@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ შპს „კახეთის კარიბჭე“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: - 405348191), რომელსაც 2020 წელს გაიჯარების აუქციონის წესით 20 (ოცი) წლიანი ვადით იჯარით აქვს აღებული ყოფილი სართიჭალის სანერგე მეურნეობა (მოსარგებლე: სსიპ „ველური ბუნების სააგენტო“), აწარმოებს ადგილობრივი სახეობის ქსეროფიტული ტიპის სატყეო და ურბანული დანიშნულების ნერგებს. კომპანიას ფონდი „განვითარება და გარემოსა“ და ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით დაკვეთილი აქვს დიდი ოდენობით ქართული ნერგების წარმოება მთაწმინდა-კუს ტბის ფერდობების გამწვანების პროგრამისთვის. აღნიშნული საქმიანობისთვის აუცილებელია სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე დამატებითი ინფრაქსტრუქტურის შექმნა, კერძოდ: ნერგსაწარმოო ბაქნების, სარწყავი წყლის რეზერვუარების, ფარდულის ტიპის ღია ნაგებობების, საჩითილე და სტარტერი კონტეინერული ნერგების საწარმოო სათბურების მოწყობა. ამავე ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია ჭარბი პროდუქციის სარეალიზაციო წერტილის - მაღაზია-ორანჟერეის განთავსება.

მიმდინარე საქმიანობის გაფართოების ერთ-ერთი კომპონენტი - კერძოდ ახალი სამელიორაციო სისტემის, მოწყობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-2 დანართით განსაზღვრული საქმიანობების ნუსხას, კერძოდ: პუნქტი 1.3. „სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია“. აქედან გამომდინარე დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება კოდექსის მე-7 მუხლით გაწერილ სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფ. სართიჭალას მიმდებარედ, (თბილისი - გომბორის გზატკეცილის მე-6 კმ), სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციისთვის.

წერილს დანართის სახით თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს პროცედურას.

ამასთანავე ვთვლით, რომ წერილის დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია საკმაოდ დეტალურად ასახავს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად მოსალოდნელ გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

პატივისცემით,

შპს „კახეთის კარიბჭე“-ს დირექტორი: ვ. წულუკიძე

31 აგვისტო, 2021 წ.

№ 15680
01.09.21